პაიჭაძეთა 4 ბურთი

“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (თბილისი). 3:1 (1:1). თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 18 ივნისი. მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი (თბილისი).

დინამოელთა თავდასხმის ხუთეულს ამ დღეს კვლავ მეთაურობდა, საბჭოთა ფეხბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბორის პაიჭაძე. სპარტაკელთა ცდა, უვნებელეყოთ “დინამოს” ლიდერის იერიშები, მარცხით დამთავრდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო “სპარტაკის” ცენტრალური მცველის შუდრას თამაშის არასწორი ტაქტიკა _ ზონალური დაცვის პრინციპი.

ბურთები ასე იქნა გატანილი:

მე-11 წუთზე დინამოელი ძიაპშპა (#3) ცუდად იგერიებს ბურთს, რომელსაც ეუფლება ავთანდილ პაიჭაძე. იგი სწრაფად უახლოვდება “დინამოს” საჯარიმო მოედანს და ძლიერი დარტყმით 15-16 მეტრიდან ათავსებს ბურთს კარის დაბლა კუთხეში. 1:0 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

მე-19 წუთზე ბ. პაიჭაძე ოსტატურად გადის მარცხენა ფლანგზე, მისთვის ჩვეული ფინტით უკან იტოვებს ჯერ შუდრას, შემდეგ კ. გაგნიძეს, ატყუებს მის შესახვედრად კარიდან გამოსულ ჟმელკოვს. ანგარიშია 1:1.

56-ე წუთზე ღოღობერიძე მარცხნიდან აწოდებს ბურთს კარის გასწვრივ და ბ. პაიჭაძე, ძნელ მდგომარეობიდან ათავსებს მას ბადეში. 2:1.

83-ე წუთზე ბ. პაიჭაძე ღებულობს ბურთს მარცხნიდან და შეუჩერებლივ, ბრწყინვალე გარტყმით გზავნის მას სპარტაკელთა კარში. 3:1.

მატჩი განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს: “დინამოდან” _ ბ. პაიჭაძემ, ვარდიმიადიმ, პანიუკოვმა, გარიშვილმა; “სპარტაკიდან” _ ჟმელკოვმა და ნ. გაგნიძემ.

“ლელო”, 23 ივნისი 1950 წ.